მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები.

წინამდებარე მომსახურების სტანდარტული პირობები შედგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არეგულირებს ოპერატორსა და აბონენტს შორის ურთიერთობებს.

1. მხარეები თანხმდებიან, რომ სატელეკომუნიკაციო მომსახურების თაობაზე გარიგების დადება და სატელეფონო ნომრის გააქტიურება შესაძლებელია დისტანციურადაც, აბონენტის ნების გამოვლენით სააბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეთოდით, რაც გულისხმობს; აბონენტის მხრიდან კომპანიის მისამართზე პერსონალური მონაცემების, (პირადობის მოწმობის ან პასპორტის მონაცემების) დისტანციურად გადაგზავნას, მონაცემების იდენტიფიკაციის შემდეგ აბონენტს ენიჭება სატელეფონო ნომერი, ეგზავნება „პერსონალური კოდი " და დასტური კომპანიის აპლიკაციის გადმოწერისა, აბონენტის მხრიდან აპლიკაციის გადმოწერით, პერსონალური კოდისა და ნომრის აპლიკაციაში შეყვანით ხდება ნომრის გააქტიურება.

2. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

2.1 მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება: საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კანონმდებლობით, `მეწარმეთა შესახებ~, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ~ საქართველოს კანონებით და სხვა მოქმედი საკანონმდებლო და კანონმდებარე ნორმატიული აქტებით, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას ოპერატორსა `ოპერატორსა~ და "აბონენტს" შორის.

2.2 "აბონენტი" ვალდებულია:

„აბონენტის „პერსონალური კოდი“//„პინ კოდი“ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გადაცემა-დაცვაზეც პასუხისმგებელია „აბონენტი“. შესაბამისად, „აბონენტის პერსონალური კოდის“/“პინ კოდის“ საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ითვლება „აბონენტის“ მიერ განხორციელებულად და ამგვარი ქმედების ნებისმიერ შედეგებზე, სრულად და ერთპიროვნულად პასუხისმგებელია „აბონენტი“.

2.3 აბონენტს უფლება არა აქვს კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება, ან მინიჭებული უფლება (გარდა აბონენტის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისა); კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე აბონენტის მიერ ამ მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. აღნიშნული არ გამორიცხავს კომპანიის უფლებასა და შესაძლებლობას, მიუხედავად მისი წინასწარი თანხმობის არ არსებობისა, მიიღოს მესამე პირისაგან ვალდებულების შესრულება; ამ შემთხვევაში, აბონენტის თანხმობა შესრულებული ვალდებულების მიღებაზე კომპანიას არ მოეთხოვება.

2.4 მხარეები ადასტურებენ, რომ სააბონენტო ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

2.5 აბონენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები, მათ შორის, საკონტაქტო ინფორმაცია სწორი და ნამდვილია; ყალბი/არასწორი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას და შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა ან/და შესაბამისი პასუხისმგებლობა.

2.6 აბონენტი ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას პერსონალური მონაცემების, მათ შორის, საკონტაქტო ინფორმაციის, ცვლილების შესახებ კომპანიის სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2425060 ზე დარეკვით, ან სერვის-ცენტრში წერილობითი განაცხადის შეტანის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას აბონენტისთვის კომპანიისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების არ/ვერ გაცნობის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანსა თუ ზარალზე.

2.7 იმ შემთხვევაში თუ აბონენტი აირჩევს სატარიფო გეგმას "ულიმიტო" რაც გულისხმობს სავალდებულო დეპოზიტს და 60 დღის განმავლობაში არ შეიტანს დეპოზიტს აბონენტს შეეზღუდება მომსახურება ორმხრივად, შეუწყდება ხელშეკრულება და მოეხსნება მინიჭებული ნომერი. ოპერატორი უფლებამოსილია შეუზღუდოს აბონენტს მომსახურება: ავანსის (დეპოზიტის ამოწურვის შემთხვევაში) თუ აბონენტი მოწყობილობით ზიანს აყენებს ოპერატორს, სხვა აბონენტს, ან მესამე პირს აბონენტისთვის გამოყოფილი სააბონენტო ნომრით, თუ სააბონენტო მოწყობილობის გამოყენებით ხდება ქსელში უნებართვო ჩართვა მონაცემთა ბაზებში შეღწევა, მომსახურების გაყიდვა ან ნომრის გადაცემა მესამე პირისთვის ოპერატორის თანხმობის გარეშე.

2.8 აბონენტი ვალდებულია არ გამოიყენოს ტელეფონის ნომერი და იდენტიფიკაციის უნიკალური კოდი მასობრივი გზავნილებისათვის, ასევე შლუზის ან დანადგარების დასაყენებლად სხვა ქსელში შესაღწევად, არ მოახდინოს არასწორი ტერმინაცია, A ნომრის ცვლილება, არ მოახდინოს შეუსაბამოდ მაღალი ტრაფიკის გატარება, რითაც ზიანს აყენებს ოპერატორს, არ აქვს უფლება ნომრისა და უნიკალური კოდის სხვა პიროვნებაზე გადაცემის.

2.9 აბონენტი ვალდებულია სერვისის შეძენამდე გადაამოწმოს თავისი მოწყობილობა და თავსებადობა აღნიშნულ სერვისთან. დეტალური ინსტრუქცია მოწყობილობის თავსებადობასთან დაკავშირებით მოცემულია როგორც აპლიკაციაში, ისე ვებ-გვერდზე: WWW.lagi.ge

3. "**ოპერატორი" ვალდებულია:**

3.1 ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ქსელში ჩართვის საფასურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდგომ უზრუნველყოს აბონენტის ქსელში ჩართვა.

3.2 უზრუნველყოს შეზღუდული მომსახურების განახლება შეზღუდვის მიზეზების აღმოფხვრიდან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

3.3 გაუწიოს აბონენტს მომსახურება ოპერატორისათვის გაცემული ლიცენზიების პირობებისა და შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში.

3.4 ოპერატორის ვებ-გვერდის საშუალებით, ან ცხელ ხაზზე დაკავშირებისას, ან მომსახურების ოფისებში უზრუნველყოს აბონენტისათვის მომსახურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, ინფორმირება აბონენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

3.5 მოახდინოს მომსახურებაში არსებული შეფერხებების და ნაკლოვანებების აღმოფხვრა და ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირების აღდგენა ტექნიკური შესაძლებლობებისა და მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში, გონივრულ, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში.

3.6 თუ აბონენტი სარგებლობს ოპერატორის მომსახურებით, რომელიც მოიცავს სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფას, მისცეს აბონენტს საშუალება მომსახურების ფარგლებში უსასყიდლოდ და ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის შემთხვევაშიც, განახორციელოს ზარი ოპერატორის ცხელ ხაზზე და საგანგებო სამსახურის ნომრებზე.

3.7 უზრუნველყოს აბონენტთა მხრიდან შემოსული პრეტენზიების განხილვა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო მისი დასაბუთებულად მიჩნევის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში გამოასწოროს ხარვეზი.

3.8 ბალანსის/ერთეულების ამოწურვის, დავალიანების, ან დაგეგმილი პროფილაქტიკური სამუშაოების გამო მომსახურების შეზღუდვამდე, ტექნიკური და პროგრამულ-აპარატურული ფუნქციონალობის სრული ხელმისაწვდომობის და შესაძლებლობების ფარგლებში გაფრთხილების მიზნით მოახდინოს აბონენტის ინფორმირება მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის შესახებ. სხვა შემთხვევებში (მაგ.: ფორს-მაჟორი) ოპერატორი მიიღებს გონივრულ ზომებს აბონენტის ინფორმირებისათვის; უზრუნველყოს აბონენტის ინფორმირება სტანდარტული პირობების, ხელშეკრულების პირობების/ტარიფის ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებების შემოტანამდე არანაკლებ 30 დღით ადრე სმს შეტყობინების გაგზავნით, ან ინფორმაციის განთავსებით ინტერნეტში, კომპანიის ვებ-გვერდზე ამასთანავე, თუკი აბონენტის მიერ აღნიშნული შეტყობინების მიღების, ან საიტზე განთავსების თარიღიდან 30 დღის განმავლობაში ოპერატორი არ მიიღებს აბონენტისაგან სრულ, ან ნაწილობრივ უარს ამგვარ ცვლილებებთან დაკავშირებით, ეს ნიშნავს, რომ აბონენტი ეთანხმება მითითებულ ცვლილებებს. ამასთან, ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის პერიოდულ ინფორმირებას ოპერატორის მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და დამატებითი სერვისების პირობების შესახებ, რათა აბონენტს გააჩნდეს სრულყოფილი ინფორმაცია ოპერატორის პროდუქტებისა და მომსახურების პირობების შესახებ.

3.9 უზრუნველყოს დროული და ხარისხიანი სატელეფონო მომსახურება.

3.10 აბონენტისთვის მიწოდებული ვოიპ სატელეფონო კავშირის ხარისხი ქსელის კონსტრუქციული თავისებურებების გამო დამოკიდებულია აბონენტის ინტერნეტისა და ტელეფონის აპარატის ხარისხზე რაც ოპერატორის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

3.11 "აბონენტის" მოთხოვნის შემთხვევაში მიწოდებულ ანგარიშს თან დაურთოს დეტალური ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მომსახურების გაწევის დროს, დროის ხანგრძლივობის, შემომავალი და გამავალი ზარების ნომრის შესახებ.

3.12 არ გასცეს "აბონენტის" პერსონალური ინფორმაცია თვით "აბონენტის" თანხმობის გარეშე ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

3.13 eSIM ინტერნეტით სარგებლობის სუვილის შემთხვევაში მიაწოდოს აბონენტს eSIM-ის გააქტიურებისთვის დეტალური ინსტრუქცია აპლიკაციის ან ვებ-გვერდის მეშვეობით.

3.14 eSIM ინტერნეტის შეძენის შემდეგ ოპერატორი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მოხმარებელს eSIM ინტერნეტის გასააქტიურებელი QR კოდი ელექტრონულად. eSIM-ის სწორად დაინსტალირებისა და კონფიგურაციის ვალდებულება ეკისრება აბონენტს.

4. მომსახურების სახე და ღირებულება:

4.1ტელეფონის დადგმის პირობები და საფასური, ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეები და მათი ტარიფები მოცემულია დანართის სახით, რომელიც არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

5. ანგარიშსწორება და დეპოზიტი

5.1 ანგარიშსწორება ხორციელდება საბანკო ქსელის მეშვეობით.

5.2 აბონენტის მიერ დეპოზიტზე თანხის შემოტანის შემდეგ ოპერატორი არ არის ვალდებული დაუბრუნოს თანხა აბონენტს უკან, თუ აბონენტი გადაიფქირებს აღნიშნული სერვისით სარგებლობას ან მოწყობლიობას ვერ გამართავს ტექნიკურად აღნიშნული სერვისით სარგებლობისთვის.

6. პრეტენზიების და საჩივრების წარდგენა და დავის გადაწყვეტა

6.1 "ოპერატორის" სახელზე შემოსული პრეტენზიები და საჩივრები მიიღება წერილობით ფორმაში "ოპერატორის" ოფისში ვაჟა-ფშაველას გამზ. #41-ში.

6.2 "ოპერატორის" სახელზე შემოსული წერილობითი განცხადება მიღების დღეს იქნება გატარებული სარეგისტრაციო ნომრით და მოთხოვნის შემთხვევაში "აბონენტს" გადაეცემა რეგისტრაციაში გატარების დადასტურება.

6.3 "ოპერატორი" ვალდებულია საჩივარი განიხილოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება საჩივრის რეგისტრაციიდან არა უგვიანეს მე-15 დღის.

6.4 "ოპერატორის" გადაწყვეტილება უნდა იყოს ყოველმხრივ სრული, ობიექტური და დასაბუთებული.

6.5 ტელეფონის დაზიანების შემთხვევაში "აბონენტი" ტელეფონით ატყობინებს "ოპერატორის" დაზიანების ბიუროს. "ოპერატორი" ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება შეტყობინებიდან 2 დღის ვადაში.

6.6 "ოპერატორის" საინფორმაციო სამსახურში "აბონენტს" შეუძლია უფასოდ მიიღოს ინფორმაცია ტარიფების, არსებული დავალიანების და დამატებითი მომსახურების შესახებ.

7.ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.2 დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), საომარი მოქმედებები, სამოქალაქო არეულობები, გაფიცვები და სხვა აქტები, რაც შეაფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

8. ხელშეკრულების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
8.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ხდება მხარეთა შეთანხმებით, ან ერთ-ერთი მხარის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

9. საერთო პირობები

9.1 აბონენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება კომპანიის მომსახურების წესსა
და ტარიფებს.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

9.3 აბონენტი ადასტურებს, რომ სტანდარტული პირობის შინაარსი მის მიერ აღქმულია ზუსტად და იგი სრულად შეესაბამება მის ნებას. ამასთან, მის მიერ ნების გამოვლენა მოხდა პირობის შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უპირველეს ყოვლისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

9.5 იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი კანონმდებლობით, ზოგიერთი კატეგორიის აბონენტისათვის გათვალისწინებულია და გამოიყენება წინამდებარე სტანდარტული პირობებისაგან განსხვავებული პირობები და წესები, მაშინ გამოყენებული იქნება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ის არეგულირებს წინამდებარე სტანდარტული პირობებით დარეგულირებულ ურთიერთობას.

9.6 სტანდარტული პირობების და ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, თუ სტანდარტული პირობების ან/და მისი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

9.7 სტანდარტული პირობების/ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები, ქვეპუნქტები ან/და დანართები დანომრილი და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს არ აქვს ზეგავლენა მათი დებულებების განმარტებაზე.

9.8 სტანდარტული პირობების ძალაში შესვლით უქმდება მის ძალაში შესვლამდე მოქმედი მომსახურების სტანდარტული პირობები.

9.9 წინამდებარე სტანდარტული პირობები და ხელშეკრულების ნიმუშები ასევე ხელმისაწვდომია ოპერატორის ვებ-გვერდზე.

10. დანართი

აბონენტმა კომპანიის აპლიკაციის გადმოწერით, „პერსონალური კოდის“ მიღებითა და სატელეფონო ნომრის გააქტიურებით თანხმობა განაცხადა კომპანიის პირობებზე.

ნომრის გააქტიურებისთანავე აბონენტს ერთვება შემომავალი ზარები და სმს მომსახურება. აბონენტი იღებს ვალდებულებას ნომრის გააქტიურებიდან 5 დღის განმავლობაში შეავსოს ბალანსი რომელიც შეადგენს; 11 (თერთმეტ) ლარს (30 დღიანი ულიმიტო სატელეფონო მომსახურების საფასურს) (დღგ- სა და 112 ის მომსახურების ჩათვლით)

ულიმიტო სატელეფონო მომსახურებაში შედის; სატელეფონო ზარები საქართველოს ფიქსირებული და მობილური ქსელის მიმართულებით გარდა (ფასიანი მიმართულებებისა) ხოლო თუ ნომერი გაწერილია სერიულად რაც გულისხმობს ერთი ნომერის რამოდენიმე აპარატზე ან მოწყობილობაზე გაწერას, ან დაინსტალირებას, გადასახადი შეადგენს აპარატების რაოდენობის შესაბამისად ყოველ მოწყობილობაზე 11 ლარს.

აბონენტის მიერ მომსახურების მიღება ხორციელდება აბონენტის მხრიდან სააბონენტო ანგარიშზე მომსახურებისათვის განსაზღვრული ფულადი (საავანსო) თანხის (დეპოზიტის) არსებობის/მომსახურების წინასწარ შეძენის შემთხვევაში.

მომსახურება ხელმისაწვდომია დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და შეესაბამება კომპეტენტური

სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და ოპერატორის ლიცენზიის პირობებს პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით. ამასთან, ერთიანი უწყვეტი ზარის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთს.

რადიოტალღების ბუნებრივი გავრცელების თავისებურებების გამო, მომსახურება შესაძლებელია არ იყოს უწყვეტი, ან შეუფერხებელი, რადიოსატელეფონო სიგნალი შეიძლება დაიკარგოს, ან მომსახურების ხარისხი შესაძლებელია გაუარესდეს განსაკუთრებით შენობებთან, შენობებში, გვირაბებში, სხვა მიწისქვეშა ნაგებობებში, ან მომსახურების მიღების ადგილის, გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური, ან სხვაგვარი თავისებურებებიდან გამომდინარე.

ქსელის აგებულების თავისებურებებიდან გამომდინარე მომსახურება და მისი ხარისხი დამოკიდებულია აბონენტის ტელეფონის აპარატზე, ინტერნეტის ხარისხზე, სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების, მათ შორის საქალაქთაშორისო, ან საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების ოპერატორების მოწყობილობების და მათი ფუნქციონირების ხარისხზე, რომელიც სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს.

ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი მომსახურების შეფერხებების, ან ნაკლოვანებებისათვის იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მისაღებად აბონენტი იყენებს გაუმართავ, დაზიანებულ ან დადგენილ ტექნიკურ ნორმებთან შეუსაბამო სააბონენტო მოწყობილობას ან თუ ეს უკანასკნელი მოდიფიცირებულია ან გარემონტებულია მწარმოებლის არაავტორიზებული წარმომადგენლის მიერ და მასთან შეთანხმების გარეშე.

ოპერატორი უფლებამოსილია შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება ცალმხრივად (გამავალი ზარი, სმს და ყველა სახის ფასიანი მომსახურება) ავანსის (დეპოზიტის/ერთეულების) ამოწურვის შემთხვევაში, (შეზღუდვამდე წინასწარ ორი დღით ადრე აბონენტს გაეგზავნება სმს შეტყობინება ავანსის დეპოზიტის ამოწურვის თაობაზე), მომსახურების მიწოდება განახლდება დავალიანების სრულად დაფარვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სააბონენტო ანგარიშზე დადებითი ბალანსის დაფიქსირების შემთხვევაში. ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის შემთხვევაში, თუ არ შეიზღუდა მომსახურების მიწოდება აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი საავანსო თანხის (დეპოზოტის) ზემოთ გაწეული მომსახურების საფასური. თუ აბონენტი შეზღუდული მომსახურებიდან 60 დღის განმავლობაში არ შეიტანს ავანსს (დეპოზიტს) მაშინ გაეგზავნება სმს შეტყობინება ნომრის გაუქმების თაობაზე ნომერი შეიზღუდება ორმხრივად და გაუქმდება ხელშეკრულება.

ინფორმაცია ტარიფების და მომსახურების სხვა პირობების, აგრეთვე დამატებითი პირობების შესახებ მოცემულია ოპერატორის ვებ-გვერზე. WWW. lagi.ge

eSIM ინტერნეტ პაკეტების ფასები მოცემულია აპლიკაციაში და ასევე ოფიციალურ ვებ-გვერდზე: WWW.lagi.ge

საინფორმაციო სამსახურის ნომერი: 0322425060

საიდენტიფიკაციო კოდი: 202911242

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

შპს **“ლაგი“**
იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას N41

საიდენტიფიკაციო ნომერი: **202911242**
ვებ-გვერდი: lagi.ge
ელ. ფოსტა: lagi@lagi.ge

რას გულისხმობს ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკა და როგორ ვიყენებთ თქვენს შესახებ ინფორმაციას: ჩვენი (შემდგომში „ჩვენ“, „ჩვენი“, „კომპანია“ და „ლაგი“ ნიშნავს შპს „ლაგს“) კონფიდენციალურობის პოლიტიკა განმარტავს თუ როგორ ხდება თქვენს შესახებ პერსონალური ინფორმაციის შეგროვება, გამოყენება, გაზიარება და დაცვა ჩვენს მიერ. თუ ჩვენი მხრიდან მოხდება ამ პოლიტიკის განახლება, ნებისმიერი ასეთი ცვლილება გამოქვეყნდება ჩვენს ვებ-გვერდზე.

1.განმარტება

1.1 აპლიკაცია: მობილური აპლიკაცია “Lagi” რომელიც წარმოადგენს ლაგის მობილურ აპლიკაციას, არის ხელმისაწვდომი როგორც აიოსის (iOS), ისე ანდროიდის (Android) ოპერაციული სისტემისთვის. აპლიკაცია ატვირთულია შესაბამის ოფიციალურ მარკეტში, როგორიცაა “App Store” და “Play Store”

1.2 სერვისი: შემომავალი/გამავალი ზარები და შეტყობინებები VoIP სერვისით, რომელიც ხდება აპლიკაციის საშუალებით. ასევე, eSIM ინტერნეტ პაკეტები, რომელთა შეძენათ ხდება აპლიკაციიდან.

1.3 მოწყობილობა: მოწყობილობა ნიშნავს ნებისმიერ მოწყობილობას, რომელსაც შეუძლია სერვისზე წვდომა, როგორიცაა მობილური ტელეფონი, ტაბლეტი ან კომპიუტერი, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ჩამოტვირთოს აპლიკაცია და ისარგებლოს სერვისით.

1.4 დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი - აღნიშნავს იურიდიული პირს ან საჯარო დაწესებულებას, რომელიც მონაცემებს ამუშავებს ჩვენთვის ან ჩვენი სახელით;

1.5 თქვენ - აღნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც სარგებლობს, განიზრახა ან ინტერესი გამოხატა, რომ ესარგებლა ჩვენი პროდუქტით ან მომსახურებებით, ასევე წარმომადგენლებს ან მესამე პირებს, რომლებიც დაკავშირებულია თქვენთან და რომელთა შესახებაც თქვენ შეგვატყობინეთ ან სათანადოდ მიგვითითეთ;

1.6 მონაცემთა დამუშავება - აღნიშნავს მონაცემთა მიმართ ჩვენს მიერ (ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ჩვენთვის ან ჩვენი სახელით) შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ან მის გარეშე, მათ შორის, მონაცემების შეგროვებას, მოპოვებას, მათზე წვდომას, ვიდეომონიტორინგს, აუდიომონიტორინგს, ორგანიზებას, დაჯგუფებას, სისტემატიზაციას, ურთიერთდაკავშირებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გაზიარებას, გამოყენებას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას

- ჩვენ ორიენტირებული ვართ დავიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები და მკაფიოდ ვაცნობიერებთ, რომ ის პერსონალური მონაცემები, რომელსაც ჩვენ გვანდობთ მათი შინაარსიდან და ბუნებიდან გამომდინარე, ფასეული და მნიშვნელოვანია თქვენთვის, შესაბამისად ჩვენი უპირველესი პასუხისმგებლობაა მათი დაცვა და საიდუმლოების უზრუნველყოფა.
- წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, ჩვენ დაწვრილებით განგიმარტავთ თუ რა სახეობების მონაცემებს ვამუშავებთ, როგორ ხდება ჩვენ მიერ თქვენს შესახებ მონაცემების შეგროვება, როგორ მუშავდება მონაცემები, როდესაც თქვენ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით და ყიდულობთ ჩვენგან პროდუქტს, რა საფუძვლითა და მიზნით ვიყენებთ თქვენ მონაცემებს და ვისთან ხდება მათი გაზიარება. ასევე, განგიმარტავთ მონაცემებთან დაკავშირებულ თქვენ უფლებებს და იმ პირობებს თუ როგორ შეიძლება ამ უფლებებით სარგებლობა. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვასრულებთ მონაცემთა დაცვის შესაბამის კანონმდებლობის მოთხოვნებს. ჩვენ მოწოდებული ვართ დავიცვათ მონაცემთა დამუშავებისას მაღალი ეთიკური და მორალური სტანდარტები, რადგან გვჯერა, რომ კომუნიკაციის და პირადი ცხოვრების საიდუმლოება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და აქედან გამომდინარე ჩვენი ვალია დავიცვათ და სიფრთხილით მოვეკიდოთ თქვენ პერსონალურ მონაცემებს.
- თქვენ ჩვენთან გამოხატეთ განზრახვა ან გააფორმეთ ხელშეკრულება ჩვენი მომსახურების მიწოდების ან პროდუქტის შეძენის მიზნით. ამ შემთხვევაში თქვენი მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენთან გასაფორმებელი ან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. მაგალითად, ჩვენ გვჭირდება თქვენი მონაცემები, თქვენი სააბონენტო ან თქვენი 2 სხვა ელექტრონული ანგარიშის სამართავად, მომსახურების საფასურის დასარიცხად, თქვენთვის ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურებების მიწოდების უზრუნველსაყოფად.
- ჩვენ გვაქვს ჩვენი ლეგიტიმური ინტერესის დაცვის უფლება, თავი დავიცვათ არამართლზომიერი, თაღლითური ქმედებებისაგან, დავიცვათ ჩვენი საკომუნიკაციო ქსელი, მოვითხოვოთ მომხმარებლების მხრიდან ვალდებულებების შესრულება. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესია ასევე, განვავითაროთ და დავხვეწოთ ჩვენი მომსახურებები, გავამრავალფეროვნოთ შეთავაზებული პროდუქტები და საქმიანობა. აღნიშნული გულისხმობს არსებული მომსახურებების გაუმჯობესებას და ახალი მოთხოვნადი მომსახურებების დანერგვას, ჩვენი მომხმარებლებისათვის მორგებული, როგორც მომსახურებების, ასევე პროდუქტის თქვენთვის შეთავაზებას, საკომუნიკაციო ქსელის განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას თქვენი მოთხოვნებიდან და მომსახურებით სარგებლობის ინდივიდუალური სტილიდან გამომდინარე და დავალიანების ამოღებას, ასეთი არსებობის შემთხვევაში.
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით ჩვენთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. მაგალითად, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა მოვახდინოთ თქვენი, როგორც მომსახურების მიმღების ზუსტი იდენტიფიცირება, ასევე ჩვენ გვჭირდება დავაკვირდეთ თქვენთვის გაწეულ მომსახურებებს, მათ მოცულობას, საფასურის ზუსტად დასაანგარიშებლად და დასარიცხად, მომსახურების ხარვეზის აღმოსაფხვრელად და სავალდებულო ხარისხობრივი მაჩვენებლების შესასრულებლად და მომსახურების გასაუმჯობესებლად, ისევე როგორც ვალდებული ვართ შევინახოთ ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემები და გეოლოკაციის მონაცემები

და შევასრულოთ საჯარო დაწესებულებების მხრიდან ამ მონაცემების აღრიცხვის და გამოთხოვის ვალდებულება.

- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით. მაგალითად, ჩვენ ვალდებული ვართ შევინახოთ ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემები და გეოლოკაციის მონაცემები და შევასრულოთ საჯარო დაწესებულებების მხრიდან ამ მონაცემების აღრიცხვის და გამოთხოვის/წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულება

2. კონფიდენციალურობის პოლიტიკის მოქმედების სფერო

2.1 წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა ეხება ნებისმიერ ფიზიკურ პირს (და არა იურიდიულ პირებს) რომელთა მონაცემები მუშავდება ჩვენს მიერ მომსახურების მიწოდების ფარგლებში. შესაბამისად, ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიზანია მოვახდინოთ შემდეგი კატეგორიის ფიზიკური პირების ინფორმირება მათ მონაცემთა დამუშავების შესახებ. ჩვენი მომხმარებლები, რომლებიც არიან როგორც ფიქსირებული ქსელის ასევე მობილური ქსელის აბონენტები;

ჩვენი მომავალი პოტენციური მომხმარებლები;

- ფიზიკური პირები, რომლებიც იყენებენ ჩვენ მომსახურებას ან პროდუქტებს (მაგალითად: ჩვენი მომხმარებლების ოჯახის წევრები, კორპორაციული მომხმარებლის დასაქმებულები);
- სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებლები, რომლებიც ამჟამად სარგებლობენ ჩვენი საკომუნიკაციო ქსელით;
- ჩვენი ყოფილი მომხმარებლები;
- ჩვენი მიმწოდებლების და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები და საკონტაქტო პირები, რომლებიც გვაწვდიან მომსახურებებს და პროდუქტს;
- ჩვენი აბონენტთა მომსახურების ოფისების ვიზიტორები;
- ჩვენი ვებ-გვერდის ვიზიტორები და მობილური აპლიკაციის მომხმარებლები;

- როგორც ჩვენი მომხმარებელი, შესაძლებელია, რომ თქვენ მისცეთ საშუალება თქვენი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, სტუმრებს ან თქვენ დასაქმებულებს მიიღონ ჩვენი მომსახურება და პროდუქტები. მაგალითად, ეს მოხდება მაშინ როდესაც მათ მისცემთ საშუალებას ჩაერთონ თქვენ Wi-Fi ქსელში, რაც მოიაზრებს, რომ ჩვენ დავამუშავებთ ცალკეულ მონაცემებს მათ შესახებ და შესაბამისად ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა მოიცავს ამგვარ დამუშავებასაც. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია მათთან ურთიერთობა და კომუნიკაცია და შესაბამისად არ გაგვაჩნია მათი ინფორმირების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ, როგორც ჩვენი მომხარებელი, თქვენი პასუხისმგებლობით მოახდენთ მათ ინფორმირებას აღნიშნულის შესახებ.
- ჩვენი მომსახურებების და პროდუქტებით სარგებლობისათვის ჩვენ გვესაჭიროება მოვიპოვოთ თქვენ შესახებ გარკვეული მონაცემები. მონაცემები, რომელსაც ვაგროვებთ შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახეობის, რაც დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი გარემოებიდან გამომდინარე

გვესაჭიროება მათი შეგროვება. მაგალითად, ჩვენ შესაძლებელია შევაგროვოთ ისეთი მონაცემები, როგორიცაა თქვენი სახელი და გვარი, მისამართი, მოქალაქეობა, პირადობის ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, ასაკი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი ან თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ინფორმაცია, რომლებიც თქვენი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

- ჩვენ შესაძლებელია შევაგროვოთ თქვენს შესახებ მონაცემები სხვადასხვა საშუალებით, მაგალითად, როდესაც ვიზიტს ახორციელებთ ჩვენს აბონენტთა მომსახურების ოფისში ან სარეალიზაციო პუნქტში, თქვენი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წაკითხვისას დისტანციური იდენტიფიცირების ფარგლებში, მათ შორის, ჩვენ პორტალზე რეგისტრაციის პროცესში. ინფორმაციის შეგროვება ხდება ასევე, როდესაც ჩვენგან იძენთ რაიმე პროდუქტს ან მომსახურებას (მათ შორის, პროდუქტების ან მომსახურების შეკვეთა ან შეძენა ვებ-გვერდიდან ან ჩვენი პორტალით, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, ოფისში, მათ შორის დისტანციური გარიგების გზით, ჩვენი მხრიდან მონაცემები შესაძლებელია შეგროვდეს ასევე, ვერბალურად, აბონენტთა მომსახურების ოფისებში და რეალიზაციის პუნქტებში, სატელეფონო კომუნიკაციით აბონენტთა მომსახურების ცხელ ხაზთან, ელექტრონული ფოსტით ან მატერიალური კორესპონდენციით, ელექტრონული შეკვეთით ჩვენ პორტალზე ან სოციალური მედიით ჩვენთან კომუნიკაციისას.
- იმ მომენტიდან, როდესაც თქვენ ხდებით ჩვენი მომხმარებელი, ჩვენ ვაგროვებთ შემდეგი კატეგორიის მონაცემებს თქვენ შესახებ, კერძოდ: საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები: ეს არის ინფორმაცია, რომლითაც ხდება¬ თქვენი იდენტიფიცირება და თქვენთან კომუნიკაცია (სახელი და გვარი, მისამართი, საკონტაქტო (მობილური) ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, კოდური სიტყვა, არსებობის შემთვევაში დღგ-ს გადამხდელის ნომერი, ჩვენ პორტალზე რეგისტრირებული სახელი და სხვა იდენტიფიკატორი). მოქალაქეობა, პირადობის ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, ასაკი, თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ინფორმაცია და მასში აღბეჭდილი ფოტოსურათი და დამატებით, სპეციალურად გადაღებული ფოტოსურათი ანდა ვიზუალური გამოსახულება, მათ შორის მოძრავი ვიდეო გამოსახულება; პირადი ნომერი: პირადი 11 ნიშნა ნომერი ან დოკუმენტის ნომერი, რაც აღნიშნულია¬ თქვენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში ან პასპორტში;
- ტექნიკური იდენტიფიკატორები: იდენტიფიკატორები, რომლებიც გამოიყენება ტექნიკური მიზნებისათვის და უკავშირდება მომხმარებლის კონკრეტულ დეტალს, როგორიცაა IMEI ნომერი, მომსახურების იდენტიფიკატორი (service ID), აბონენტის სიმ-ბარათის მაიდენტიფიცირებელი ნომერი (IMSI), ტერმინალური მოწყობილობის ელექტრონული სერიული ნომერი (ESN), IP მისამართი, ticket ID, case ID ….
- პროდუქტის და მომსახურების მოხმარების მონაცემები: ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება თქვენი, როგორც მომხმარებლის ჩვენი პროდუქტებით და მომსახურებებით სარგებლობას (მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ფარგლებში, მონაცემთა გადაცემის მომსახურების მოხმარება, ხმოვანი ზარის მოხმარება, ჩვენი აპლიკაციებით სარგებლობა და სხვა), ეს ასევე მოიცავს ინფორმაციას მათი გამოყენების თარიღისა და დროის შესახებ, მათი გამოყენების ხანგრძლივობას, თუ სად ხდება მისი გამოყენება და რა საფასური გერიცხებათ და როდის ახორციელებთ გადახდებს, ისევე როგორც ინფორმაცია მომსახურებასთან დაკავშირებული საბონენტო ანგარიშის შესახებ, რაც მოიცავს გადაუხდელ საფასურებს, საბონენტო ანგარიშის

შევსებას მასში ასახული აქტივირებული და დეაქტივირებული მომსახურებების შესახებ და დარიცხულ ქულებს და სააბონენტო ანგარიშზე განხორციელებულ აქტივობებს;

- მოწყობილობის შესახებ მონაცემები: ინფორმაცია იმ მოწყობილობებზე, რომელსაც იყენებთ თქვენ (მოწყობილობის (დეკოდერი, მოდემი, რუტერი) ტიპი, ბრენდი, პროგრამული უზრუნველყოფა) ან იმ მოწყობილობებზე (ტიპი, ბრენდი და ტერმინალური მოწყობილობის IMEI), რომელიც დაკავშირებულია Wi-Fi ქსელთან ანდა მობილურ საკომუნიკაციო ქსელთან;
- საბილინგო ინფორმაცია: ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია საბილინგო მონაცემებთან (გადახდები, გადაუხდელი თანხები, ინვოისები);

როგორ ვაგროვებთ თქვენ შესახებ მონაცემებს

- ძირითადად ჩვენ ვაგროვებთ თქვენ შესახებ მონაცემებს, როდესაც:
- თქვენ განიზრახეთ ან რეგისტრირდებით როგორც მომხმარებელი, ჩვენი პროდუქტების და მომსახურებების მისაღებად
- ჩვენგან იძენთ რაიმე პროდუქტს ან მომსახურებას (მათ შორის, პროდუქტების ან მომსახურების შეძენა ჩვენი ვებ-გვერდიდან ონლაინ რეჟიმში, ჩვენი პორტალით, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, ჩვენ აბონენტთა მომსახურების ოფისში, მათ შორის დისტანციური გარიგების გზით, სხვა საცალო რეალიზაციის პუნქტში ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რაც გამოყენებული იქნება ჩვენ მიერ;
- თქვენ უკავშირდებით ჩვენ სააბონენტო მომსახურების ცენტრს ან მოგვმართავთ რაიმე კითხვით ან საჩივრით;
- თქვენ ახორციელებთ ჩვენი რომელიმე მომსახურების გამოწერას (რეგისტრირდებით სერვისის გამომწერად);
- თქვენ ახორციელებთ თქვენი სააბონენტო ანგარიშზე რაიმე სახის აქტივობებს, ცვლილებებს, ცალკეული ჩვენი მომსახურებების ჩართვა/გამორთვას;
- თქვენ იყენებთ ჩვენ საკომუნიკაციო ქსელს როგორც მობილური, ასევე ფიქსირებული ინტერნეტის მისაღებად, მათ შორის wifi ქსელის გამოყენებით;
- შესაბამისი საჭიროებისას, ჩვენ ასევე შეგვიძლია შევაგროვოთ თქვენს შესახებ მონაცემები სხვა წყაროებიდან, მათ შორის ორგანიზაციებიდან და კომპანიებიდან, როგორიცაა, მაგრამ არამხოლოდ - თაღლითური შემთხვევების პრევენციის სფეროში მოქმედი სააგენტოები, ბიზნეს ცნობარები და საკრედიტო-საინფორმაციო ორგანიზაციები. ჩვენ ასევე შეგვიძლია შევაგროვოთ თქვენს შესახებ ინფორმაცია ჩვენი სხვა საქმიანობების ფარგლებში, ასევე ჩვენი პარტნიორი კომპანიებიდან თუ სხვა კომპანიებიდან.
- როგორ ხდება მონაცემების გაზიარება მესამე პირებთან
- ჩვენ ვახდენთ თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარებას სხვადასხვა კატეგორიის ჩვენ ქვეკონტრაქტორებთან, მიმწოდებლებთან, პარტნიორებთან, კონტრაქტორებთან, თანადამუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საჯარო დაწესებულებებთან და სხვა მესამე პირებთან. როდესაც ჩვენ მოიხმართ ჩვენი პროდუქტს ან მომსახურებას, ჩვენი მხრიდან ხდება მონაცემების გაზიარება იმ მესამე პირებთან, რომლებიც მონაწილეობენ, თანამშრომლობენ ან ჩართული არიან ჩვენთან ერთად პროდუქტის ან მომსახურების შექმნაში. ჩვენ ვუზიარებთ

პერსონალურ მონაცემებს საჯარო დაწესებულებებს, როდესაც ეს ვალდებულება დადგენილია კანონით. ცალკეულ შემთხვევებში, მონაცემთა გაზიარება ეფუძნება თქვენს მიერ გაცხადებულ თანხმობას ან როდესაც ამას ჩვენ მივიჩნევთ ადეკვატურ და რელევანტურ ზომად ჩვენი ლეგიტიმური ინტერესესის გათვალისწინებთ.

- ქვედა პუნქტში მითითებულია იმ მესამე პირების კატეგორიები, ვისთანაც ხდება ჩვენ მიერ მონაცემების გაზიარება.
- კონტრაქტორები, მიმწოდებლები და სხვა მესამე პირები: სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორები და მომსახურების მიმწოდებლები;¬ IT მომსახურებების პროვაიდერები;¬ საკომუნიკაციო და ქსელის მოწყობილობების მიმწოდებლები;¬ საგადახდო მომსახურების პროვაიდერები;¬ ბილინგის მომსახურების მიმწოდებლები;¬ მომსახურებების ფარგლებში ციფრული კონტენტის მიმწოდებლები;¬ საკომუნიკაციო სფეროში პროგრამული უზრუნველყოფების მიმწოდებლები;¬ მარკეტინგული კვლევის სააგენტოები;¬ პირდაპირი მარკეტინგის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლები;¬ დავალიანების ამოღების სფეროში მოქმედი კომპანიები;¬ იურიდიული მომსახურების კომპანიები.¬
- ჩვენი მხრიდან მონაცემები შეიძლება გაზიარდეს საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ კომპანიებთან, იმ შემთხვევაში თუ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამ ქვეყანაში არსებობს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.
- მონაცემები შესაძლებელია გაზიარებული იქნეს საჯარო დაწესებულებებთან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნის შესრულების უზრუნველსაყოფად.
- მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, სამართლებრივი მოთხოვნის ფარგლებში, მონაცემები შეიძლება გაზიარებული იქნეს:
- სასამართლო ორგანოებისათვის; სამართალდამცავი, კონტრდაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებისათვის;¬ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის;¬ საგადასახადო ორგანოებისათვის;¬ კონკურენციის სააგენტოსთვის;¬ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიისათვის.¬
- რა მიზნით ვამუშავებთ თქვენ შესახებ მონაცემებს (გარდა მარკეტინგული მიზნებისა)
- ამ მუხლში განმარტებულია თუ რა მიზნებისათვის (გარდა მარკეტინგული და პროდუქტის და მომსახურების სარეალიზაციო მიზნებისა) ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს. მიზნები მოცემულია სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით. თითოეული მიზანი მითითებულია მოკლე სექციაში, რომელიც შეიცავს ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიცაა რა სახეობის მონაცემს ეხება ეს მიზანი, აღნიშნული მონაცემის დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, ამ მონაცემის დამუშავების/შენახვის ვადა და ცალკეულ შემთხვევებში, რა კატეგორიის მესამე პირებთან ხდება ამ მონაცემების გაზიარება, თუ ეს დასაბუთებადი და ლეგიტიმურია, ისევე როგორც თითოეულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტისათვის მინიჭებული უფლებების განხორციელების წესი, თუ ის განსხვავდება მონაცემთა სუბიექტის იმ ზოგადი უფლებებისაგან, რომელიც მას გააჩნია
- როდესაც თქვენ განზრახული გაქვთ გახდეთ მომხმარებელი (გარიგების დადების მიზნები) რა სახეობის მონაცემებს ვიყენებთ?
- თქვენგან მოპოვებული მონაცემები: საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები, პირადი ნომერი, პირადი მახასიათებლები, მონაცემები მომხმარებლის აქტივობების შესახებ. დაგენერირებული მონაცემები: შიდა იდენტიფიკატორები, ტექნიკური იდენტიფიკატორები. რა

საფუძველს ეყრდნობა დამუშავება? მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) და მონაცემთა დამუშავება საჭიროა ელექტრონული კომუნიკაციების

- კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), კერძოდ ჩვენი მოვალეობა მოვახდინოთ მომხმარებლის ზუსტი იდენტიფიცირება. რა ვადით ვამუშავებთ ამ მიზნით? ჩვენ ვინახავთ ამ მიზნით დამუშავებულ მონაცემებს, რა პერიოდიც თქვენ წარმოადგენთ ჩვენ მომხმარებელს და ჩვენთან ხელშეკრულების შეწყვეტიდან დამატებით 4 წელი. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმება აღარ მოხდება, მაშინ აღნიშნული მონაცემები შეინახება მისი მიღებიდან(პირველადი დამუშავებიდან) 1 წლის ვადით.
- ვისთან ხდება ამ მონაცემების გაზიარება? ამ მიზნით დამუშავებული მონაცემები შესაძლებელია გაზიარებული იქნეს ჩვენი იმ პარტნიორი კომპანიებისათვის, რომლებიც ჩართულია თქვენთვის პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების პროცესში, ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებთან, სადაც ხდება თქვენი პორტირება და ასევე, შესაბამისი კანონისმიერი მოვალეობის შესაბამისად, სამართლებრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სანამ ჩვენი მომხმარებელი გახდებით ჩვენ ვალდებული ვართ დავამუშავოთ როგორც თქვენგან მოპოვებული მონაცემები, ასევე ჩვენ მიერ დაგენერირებული მონაცემები (მაგალითად: თქვენთვის რეგისტრაციის ნომრის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრის ან შიდა იდენტიფიკატორის მინიჭება), რომელიც გვესაჭიროება თქვენგან კონკრეტულად მოთხოვნილი პროდუქტებისა და მომსახურებების ხელმისაწდვომობის შესაფასებლად, მისაწოდებლად და შესაბამისი ხელშეკრულების გასაფორმებლად.
- როდესაც თქვენ ხართ ჩვენი მომხმარებელი
- ჩვენი პროდუქტების და მომსახურებების მოწოდება რა სახეობის მონაცემებს ვიყენებთ? თქვენგან მოპოვებული მონაცემები: საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები, პირადი ნომერი. დაგენერირებული მონაცემები: პროდუქტის და მომსახურების სააბონენტო მონაცემები, პროდუქტის და მომსახურების მოხმარების მონაცემები, ტექნიკური იდენტიფიკატორები, ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემები და ქსელის ლოკაციის მონაცემები. რა საფუძველს ეყრდნობა დამუშავება? მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა განპირობებულია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) და მონაცემთა დამუშავება საჭიროა ელექტრონული კომუნიკაციების კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი 12 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), კერძოდ ჩვენი მოვალეობა მოვახდინოთ მომხმარებლის ზუსტი იდენტიფიცირება. რა ვადით ვამუშავებთ ამ მიზნით? ამ მიზნით მონაცემებს ვამუშავებთ იმ პერიოდით, რა პერიოდითაც თქვენ წარმოადგენთ ჩვენ მომხმარებელს და ჩვენთან ხელშეკრულების შეწყვეტიდან დამატებით 4 წელი.
- ამ მიზნით დამუშავებული მონაცემები შესაძლებელია გაზიარებული იქნეს ჩვენი იმ პარტნიორი კომპანიებისათვის, რომლებიც ჩართულია თქვენთვის პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების პროცესში, მათ ტექნიკურ მხარდაჭერაში, ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურების

მიმწოდებლებთან, სადაც ხდება თქვენი პორტირება და ასევე შესაბამისი კანონისმიერი ვალდებულების შესაბამისად, სამართლებრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ჩვენ გვჭირდება დავამუშავოთ აღნიშნული მონაცემები თქვენი მხრიდან მოთხოვნილი მომსახურებების თქვენთვის მოსაწოდებლად, მათ შორის როდესაც სარგებლობთ ხმოვანი ზარის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების მომსახურებით, მათ შორის ფიქსირებულ საკომუნიკაციო ქსელში, ჩვენ გვესაჭიროება დავამუშავოთ მონაცემები რათა ვუზრუნველყოთ ელექტრონული კომუნიკაციის ინიციატორი და გამოძახებული მომხმარებელს შორის სანდო კავშირი, ისევე როგორც სატელეფონო, მონაცემთა გადაცემის და ტექსტური შეტყობინების ტრაფიკი სათანადოდ იქნეს დამისამართებული ჩვენ საკომუნიკაციო ქსელში.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- თქვენთვის მომსახურების მიწოდებისას, ჩვენ არ გვაქვს წვდომა ელექტრონული კომუნიკაციის შინაარსზე. ჩვენს მიერ მუშავდება მხოლოდ ის საჭირო მეტაინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მომსახურებების ფუნქციონირებას და ელექტრონული კომუნიკაციის ჯეროვან გადაცემას/მიმოცვლას (როგორიცაა მაგალითად მოკლე ტექსტური შეტყობინების შესაბამის მიმღებისათვის მიწოდება), რა დროსაც ჩვენი საკომუნიკაციო ქსელი წარმოადგენს მხოლოდ კომუნიკაციის შინაარსის უბრალო გადამცემ არხს. კომუნიკაციის შინაარსზე წვდომა მკაცრად რეგულირდება და დაშვებულია მხოლოდ კონკრეტულ, ამომწურავად ჩამოთვლილ შემთხვევებში, რაც მოცემულია ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ საქართველოს კანონში (მუხლი 8)
- სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო ოპერატორებთან ურთიერთჩართვა (ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება)

რა სახეობის მონაცემებს ვიყენებთ?

- დაგენერირებული მონაცემები: ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემები. რა საფუძველს ეყრდნობა დამუშავება? მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა განპირობებულია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) და მონაცემთა დამუშავება საჭიროა ელექტრონული კომუნიკაციების კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების 13 შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), კერძოდ ჩვენი ვალდებულება დავამუშავოთ და გავცვალოთ მონაცემები ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. რა ვადით ვამუშავებთ ამ მიზნით? ამ მიზნით მონაცემებს ვამუშავებთ კომუნიკაციის განხორციელებიდან 4 წელი

- ვისთან ხდება ამ მონაცემების გაზიარება? ჩვენ გვჭირდება მონაცემების გაცვლა (მიღება და გადაცემა) სხვა ელექტრონულ სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან, რომლებიც მონაწილეობენ კონკრეტული ელექტრონული კომუნიკაციის განხორციელების პროცესში, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ფარგლებში ურთიერთჩართვის (ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ფიზიკური და ლოგიკური კავშირის) უზრუნველსაყოფად. ურთიერთჩართვა საკვანძო პირობაა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების პროცესში. მარტივად რომ ითქვას, ურთიერთჩართვა თქვენ, როგორც ჩვენ მომხმარებელს საშუალებას გაძლევთ, დაუკავშირდეთ სხვა ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელს, ისარგებლოთ მონაცემთა გადაცემის მომსახურებით ან დაუკავშირდეთ სხვა პირს (როგორც ხმოვანი ზარით ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინებით), რომელიც ჩართულია სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში, მათ შორის უცხო ქვეყნებში ან ისარგებლოთ სხვა საკომუნიკაციო ოპერატორის მომსახურებით. ყველა ელექტრონულ საკომუნიკაციო ოპერატორს გააჩნია კანონისმიერი ვალდებულება უზრუნველყოს საკუთარ ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელთან დაშვება და გააფორმოს ურთიერთჩართვის ხელშეკრულებები სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებთან. ურთიერთჩართვის პროცესში, ხორციელდება თქვენი მონაცემების ურთიერთგაცვლა ელექტრონული კომუნიკაციის დასამისამართებლად, ისევე როგორც საბილინგო აღრიცხვის, ურთიერთშედარების და საფასურის დარიცხვის მიზნებისათვის.

საბილინგო აღრიხცვა და ფინანსური (საბუღალტრო) ანგარიშგება

რა სახეობის მონაცემებს ვიყენებთ?

- თქვენგან მოპოვებული მონაცემები: საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები, პირადი ნომერი და პირადი მახასიათებლები. დაგენერირებული მონაცემები: შიდა იდენტიფიკატორები, ტექნიკური იდენტიფიკატორები, პროდუქტისა და მომსახურების სააბონენტო მონაცემები, პროდუქტისა და მომსახურების მოხმარების მონაცემები, საბილინგო ინფორმაცია და ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემები. რა საფუძველს ეყრდნობა დამუშავება? მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა განპირობებულია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი), ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი) და საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მონაცემთა დამუშავება გვესაჭიროება 14 მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი მომსახურებების საბილინგო აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და კორპორაციული მომხმარებლებისათვის ანგარიშ-ფაქტურის გამოსაწერად. რა ვადით ვამუშავებთ ამ მიზნით? ამ მიზნით მონაცემებს ვამუშავებთ ბოლო კონკრეტული გადახდის ან ქმედების განხორციელებიდან 4 წელი.
- ვისთან ხდება ამ მონაცემების გაზიარება? ამ მიზნით მონაცემები შესაძლებელია გაზიარებული ჩვენი სახელით პროდუქტისა და მომსახურების მიმწოდებლებთან, ჩვენთვის საბილინგო აღრიცხვის მომსახურების მიმწოდებლებთან. ამის გარდა, ცალკეული მონაცემები შესაძლებელია გაზიარებული იქნეს იმ კომპანიებთან, რომლებიც წარმოადგენენ თქვენს დამსაქმებლებს ან თქვენთან სხვა სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, ახდენენ ჩვენი მიერ თქვენთვის

გაწეული მომსახურების საფასურის გადახდას, ასევე თუ თქვენ იხდით ჩვენი მომსახურების საფასურს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების არხებით, მაშინ ცალკეული თქვენი მონაცემები შესაძლებელია გაზიარებული იქნეს ასეთი მომსახურების პროვაიდერი კომპანიებისათვის ან ბანკისათვის, რათა წარმატებით შესრულდეს გადახდების ოპერაციები. საბილინგო აღრიცხვა უკავშირდება თითქმის ჩვენ ყველა იმ მომსახურებებს და პროდუქტს, რომელსაც ჩვენ თქვენ გთავაზობთ. ამ მიზნით, ჩვენ ვიყენებთ იმ მონაცემებს, რაც უკავშირდება ჩვენთან გაფორმებულ ხელშეკრულებას და თვენს მიერ ჩვენი მომსახურებების და პროდუქტების მოხმარებას, გადასახდელი საფასურის დაანგარიშების და ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის მიზნით, რაც ასევე მოიცავს შესაბამისი გადასახადების დაანგარიშებას. ჩვენ ასევე ვიყენებთ თქვენს საკონტაქტო მონაცემებს თქვენთვის საბილინგო ინფორმაციის და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურების მისაწოდებლად. თუ მაგალითად თქვენ პროდუქტის ან მომსახურების საფასურის გადასახდელად იყენებთ საგადახდო მომსახურების პროვაიდერ კომპანიის არხებს, ჩვენ მიერ მოხდება თქვენ შესახებ საბილინგო ინფორმაციის ურთიერთგაცვლა,

მოკრეფის (თანხების ამოღების) პროცესი

რა სახეობის მონაცემებს ვიყენებთ?

თქვენგან მოპოვებული მონაცემები: საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები, პირადი ნომერი და პირადი მახასიათებლები, მონაცემები მომხმარებლის აქტივობების შესახებ. დაგენერირებული მონაცემები: შიდა იდენტიფიკატორები, პროდუქტისა და მომსახურების სააბონენტო მონაცემები, პროდუქტისა და მომსახურების მოხმარების მონაცემები, საბილინგო ინფორმაცია. რა საფუძველს ეყრდნობა დამუშავება? მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა განპირობებულია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). რა ვადით ვამუშავებთ ამ მიზნით? ამ მიზნით მონაცემებს ვამუშავებთ იმ პერიოდით, რა პერიოდითაც თქვენ წარმოადგენთ ჩვენ მომხმარებელს და ჩვენთან ხელშეკრულების შეწყვეტიდან დამატებით 4 წელი, მათ შორის ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მიზნებისათვის.

დისტანციური იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესი

რა სახეობის მონაცემებს ვიყენებთ?

თქვენგან მოპოვებული მონაცემები: საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები. მესამე პირებისაგან მოპოვებული მონაცემები: საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები. რა საფუძველს ეყრდნობა დამუშავება? მონაცემთა დამუშავება საჭიროა ელექტრონული კომუნიკაციების კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), კერძოდ ჩვენი მოვალეობა მოვახდინოთ მომხმარებლის ზუსტი იდენტიფიცირება და ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი) დისტანციური გარიგების გაფორმების ფარგლებში მოვახდინოთ პირის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, თაღლითური შემთხვევების პრევენციის მიზნით, მათ შორის მესამე პირთა მიერ შეთავაზებული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის მომსახურების გამოყენებით. რა

ვადით ვამუშავებთ ამ მიზნით? ამ მიზნით მონაცემებს ვამუშავებთ იმ პერიოდით, რა პერიოდითაც თქვენ წარმოადგენთ ჩვენ მომხმარებელს და ჩვენთან ხელშეკრულების შეწყვეტიდან დამატებით 4 წელი.

ვისთან ხდება ამ მონაცემების გაზიარება?

აღნიშნული მონაცემები იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესში გაზიარებულია იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის მომსახურების მიმწოდებელთან, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს. როგორ შეიძლება უარი თქვათ? უარის თქმა თქვენ შეგიძლიათ უშუალოდ თქვენი ქმედებით, როდესაც თავს შეიკავებთ დისტანციური გარიგების გაფორმებისაგან. ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონის შესაბამისად, ჩვენ ვალდებული ვართ მოვახდინოთ მომხმარებლის ზუსტი იდენტიფიკაცია, ისევე როგორც როდესაც ფორმდება დისტანციური გარიგება (გარიგება ფორმდება ჩვენსა და მომხმარებლის ერთდროული ფიზიკური დასწრების გარეშე) აქტუალური რჩება მომხმარებლის იდენტიფიკაციის აუცილებლობა დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც შესაძლებელია ჩვენ გამოვიყენოთ მესამე პირთა შეთავაზებული იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის მომსახურება.

ელექტრონული ხელმოწერის პროცესი

რა სახეობის მონაცემებს ვიყენებთ?

თქვენგან მოპოვებული მონაცემები: საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები. დაგენერირებული მონაცემები: შიდა იდენტიფიკატორები, ტექნიკური იდენტიფიკატორები, ბიომეტრიული მონაცემები. რა საფუძველს ეყრდნობა დამუშავება? მონაცემთა დამუშავება საჭიროა ელექტრონული კომუნიკაციების კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), კერძოდ ჩვენი მოვალეობა მოვახდინოთ მომხმარებლის ზუსტი იდენტიფიცირება და ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი) დავადგინოთ და გამოვიყენოთ მომხმარებლის თანხმობის დამადასტურებელი მექანიზმი ელექტრონული ხელმოწერის საშუალებით ელექტრონული კომუნიკაციების და ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. რა ვადით ვამუშავებთ ამ მიზნით? ამ მიზნით მონაცემებს ვამუშავებთ იმ პერიოდით, რა პერიოდითაც თქვენ წარმოადგენთ ჩვენ მომხმარებელს და ჩვენთან ხელშეკრულების შეწყვეტიდან დამატებით 4 წელი. ვისთან ხდება ამ მონაცემების გაზიარება? ელექტრონული ფორმით გარიგების გაფორმების პროცესში დაგენერირებული ბიომეტრიული მონაცემები გაზიარებულია განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის მომსახურების მიმწოდებელ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწერის გენერაციის პროცესს და მონაცემების შიფრაციას, ისევე როგორც გაზიარებულია სსიპ სახელწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის, რომელიც გასცემს შესაბამის ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატებს. ხელმოწერის ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში მონაცემების შესაძლოა ასევე გადაეცეს საექსპერტო ბიუროს. როგორ შეიძლება უარი თქვათ? უარის თქმა თქვენ შეგიძლიათ უშუალოდ თქვენი ქმედებით, რა დროსაც უარს აცხადებთ ელექტრონული ფორმით (ელექტრონული დოკუმენტის გამოყენებით) ჩვენი მომსახურების

ხელშეკრულების გაფორმებაზე, რა დროსაც თქვენ შესაძლებელია გააფორმოთ ჩვენთან ხელშეკრულება მატერიალური ფორმით. ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება გულისხმობს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ელექტრონული ხელმოწერის კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის მეშვეობით მონაცემთა სუბიექტის ელექტრონული ხელმოწერის შემდეგ შექმნილი ელექტრონული დოკუმენტის დაგენერირებას, სადაც უცვლელი სახით ინახება ხელმოწერის მომენტში მომხმარებლის მიერ განხორციელებული ხელმოწერის დაფაზე გამოსახული ტექსტი და ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები დაშიფრული სახით. ბიომეტრიული მონაცემები ხდება ელექტრონული დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი. ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაციისათვის განსაზღვრული კრიპტოგრაფიული დახურული გასაღები კომპანიისათვის და ელექტრონული ხელმოწერის მომსახურების მიმწოდებელი კომპანიისათვის არ არის ხელმისაწვდომი და იგი გააჩნია მხოლოდ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. საჭიროების შემთხვევაში, რაც მაგალითად გულისხმობს შემთხვევას, როდესაც მომხმარებელი სადავოდ ხდის მიერ მიერ განხორციელებული ხელმოწერის ნამდვილობას, აღნიშნული მონაცემების დეშიფრაცია განხორციელდება მხოლოდ ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ავტორიზებული საექსპერტო ბიუროს მიერ, იმგვარად, რომ ჩვენ და ელექტრონული ხელმოწერის მომსახურების მიმწოდებელს არ გვექნება რაიმე სახის წვდომა აღნიშნულ მონაცემებთან. ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების მიზანია ჩვენი და შესაბამის მომხმარებლებს შორის გაფორმებული გარიგებისას, ხელმომწერი პირის იდენტიფიცირება, ელექტრონული ფორმით გარიგების გაფორმება და ამ პროცესის გამარტივება.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ელექტრონული ხელმოწერისას დაგენერირებული ელექტრონული დოკუმენტის შექმნის პროცესში ჩვენ არ გვაქვს წვდომა ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიულ მონაცემებზე. ჩვენ და ელექტრონული ხელმოწერის მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის მიერ მუშავდება მხოლოდ ის საჭირო მეტაინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტის გენერირებას და ელექტრონული დოკუმენტის მართვის სისტემის ფუნქციონირებას, ისევე როგორც ამ მონაცემების გადაცემას/მიმოცვლას, რა დროსაც ჩვენი საკომუნიკაციო ქსელი და ელექტრონული ხელმოწერის მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის პლატფორმა წარმოადგენს მხოლოდ კომუნიკაციის შინაარსის უბრალო გადამცემ არხს. საჭიროების შემთხვევაში, ამ მონაცემებზე წვდომა, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მეშვეობით აქვს მხოლოდ შესაბამის ავტორიზებულ საექსპერტო ბიუროს.

კანონისმიერი ვალდებულებების შესრულება

- კანონისმიერი ვალდებულება ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემების შენახვასთან დაკავშირებით რა სახეობის მონაცემებს ვიყენებთ? დაგენერირებული მონაცემები: ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემები, კერძოდ - ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. რა საფუძველს ეყრდნობა დამუშავება? აღნიშნულ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) კერძოდ ჩვენი მოვალეობა დავამუშავოთ აღნიშნული მონაცემები

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 8 5) რა ვადით ვამუშავებთ ამ მიზნით? ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემები, კერძოდ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ვადები: მომხმარებლის ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია, დამონტაჟებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის თაობაზე არსებული ინფორმაცია, მომსახურების მიწოდების მიზნით მინიჭებული სააბონენტო ნომერი და მომხმარებელთან დადებულ მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული სხვა მონაცემები - ინახება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი შეწყვეტიდან 4წელი

- ანგარიშისა და გადასახადების (მათ შორის, მომსახურების საფასურის) შესახებ მონაცემები - ინახება კომუნიკაციის განხორციელებიდან არაუმეტეს 4 წელი. ვისთან ხდება ამ მონაცემების გაზიარება? ამ მიზნით დამუშავებული მონაცემები მუშავდება ჩვენი კომპანიის ფარგლებში და შესაბამისი სამართლებრივი ვალდებულების არსებობისას შესაძლებელია გაზიარებული იქნეს:
- სასამართლოსთვის;¬ კომუნიკაციის ეროვნულ კომისიისთვის;¬ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის;¬ კონკურენციის სააგენტოსათვის;¬ სამართალდამცავი ორგანოებისათვის, და¬ სხვა ორგანოებისა და სამსახურებისათვის, საქართველოს მოქმედი¬ კანონმდებლობით დადგენილი მოთოხვნების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი ამომწურავად ადგენს ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებულ, იმ მონაცემების ჩამონათვალს, რომელიც უნდა აღირიცხოს და შეინახოს, ვისთვის და რის საფუძველზე შეიძლება გადაეცეს.
- თქვენ უფლება გაქვთ, გაეცნოთ ზემოთ აღწერილი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს ან /და მიიღოთ მათი ასლები თქვენი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და შესაბამისი დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც თქვენ დაუყოვნებლივ გეცნობებათ. მოითხოვოთ თქვენ შესახებ მონაცემების გასწორება, განახლება და შევსება (ეს ეხება იმ შემთხვევას, როდესაც თქვენ აღმოაჩენთ, რომ ცალკეული თქვენი მონაცემი მცდარი, არაზუსტი ან არასრულია). თქვენგან დამოუკიდებლად, თუ ჩვენ აღმოვაჩინეთ მსგავსი შემთხვევები, ჩვენ ჩვენივე ძალისხმევით და თქვენ ჩაურევლად მოვახდენთ აღნიშნული მონაცემების გასწორება, განახლება ან შევსებას და შეგატყობინებთ ამის შესახებ თქვენ, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ამგვარი მონაცემების გასწორება, განახლება ან შევსება ტექნიკური შეცდომის გასწორებას ან აღმოფხვრას უკავშირდება; თქვენს მიერ ზემოთ აღწერილი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ჩვენ ვუზრუნველყოფთ მონაცემების გასწორებას, განახლებას ან/და შევსებას ან თქვენ გაცნობებთ მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლების შესახებ და მიგითითებთ უარის გასაჩივრების წესს. თუ ჩვენ თქვენგან დამოუკიდებლად გამოვავლენთ, რომ ჩვენ ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან/და არასრულია, ჩვენ, გონივრულ ვადაში, მოვახდენთ მონაცემთა გასწორებას, განახლებას ან/და შევსებას და მათი გასწორებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ შეგატყობინებთ თქვენ. ჩვენ არ გვაქვს შეტყობინების ვალდებულება, თუ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება ტექნიკური შეცდომის გასწორებას/აღმოფხვრას უკავშირდება.
- ჩვენ მიერ მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული თქვენი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ეს არის აუცილებელი და პროპორციული

ზომა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას: 1. სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან /და თავდაცვის ინტერესებს; 2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს; 3. დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ -სამძებრო საქმიანობას; 4. ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს; მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;

3. მონაცემთა დამუშავების სავალდებულოობა

3.1 ჩვენს მიერ თქვენთვის შეთავაზებული და გაწეული მომსახურების და პროდუქტების მიწოდების ფარგლებში, ჩვენ როგორც დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირი, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ვითხოვთ თქვენგან გარკვეული მონაცემების მიწოდებას, გარდა უშუალოდ თქვენგან შეგროვებული/მოპოვებული მონაცემებისა თქვენთვის მომსახურების მიწოდების ფარგლებში, ჩვენ ვახდენთ გარკვეული მონაცემების გენერირებას და წარმოებას, იმ მონაცემებზე დაყრდნობით რაც მოვიპოვეთ თქვენგან, ისევე როგორც გარკვეულ შემთხვევებში ვიღებთ მონაცემებს მესამე პირებისაგან.

3.2 ჩვენი მხრიდან პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებისას, თუ გარკვეული მონაცემების დამუშავება გარდა ჩვენი ლეგიტიმური ინტერესისა, გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, როგორიცაა შემთხვევები, როდესაც მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი), ან მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი); ან თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით (პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) თქვენი მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, კერძოდ მოთხოვნა: 1. მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურებაზე; 2. მონაცემთა დაბლოკვაზე, ავტომატურად გამოიწვევს ჩვენი მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის და შესაბამისი მომსახურებების შეჩერებას, რის შესახებაც თქვენ მომსახურების შეწყვეტამდე გაგაფრთხილებთ.

3.3 თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ გარკვეული მონაცემების დამუშავებაზე, ეს ეხება იმგვარი მონაცემთა დამუშავების შემთხვევებს, როდესაც ის ეყრდნობა თქვენ მიერ გაცემულ თანხმობას.

3.4 როდესაც მონაცემთა დამუშავებას ვახორციელებთ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თქვენი მოთხოვნა მონაცემთა წაშლაზე ან განადგურებაზე არ დაკმაყოფილდება, რადგან ეს მონაცემები, კანონით დადგენილი წესით და დაშვებულ ფარგლებში უნდა შევინახოთ. რაც შეეხება თქვენ მოთხოვნას მონაცემთა დამუშავების შეწყვეტაზე, თუ ამ მონაცემების დამუშავება გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან,

მონაცემების დამუშავება შეწყდება თუმცა კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე მათი შენახვის ვალდებულება რჩება ამ კანონით დადგენილი წესით და დაშვებულ ფარგლებში.

4. გასაჩივრების უფლება

4.1 თქვენ უფლება გაქვთ წინამდებარე პოლიტიკის ან მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში მიმართოთ ჩვენ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ხოლო, თუკი ჩვენი მონაცემთა დაცვის ოფიცერთან მიმართვის შემდგომ, ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მიგაჩნიათ, რომ თქვენი უფლებები ვერ განხორციელდა სათანადოდ ან დარღვეული უფლებების აღდგენა არ მოხდა, კანონით დადგენილი წესით მიმართოთ თქვენი არჩევანით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

4.2 თქვენი არჩევანით, კანონით დადგენილი წესით თქვენ უფლება გაქვთ ასევე პირდაპირ მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს